


9

საქართველოს გეოგრაფია

ნ. ბერუჩაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, ზ. დავითაშვილი



საქართველოს
გეოგრაფია



ნიკოლოზ ბერუჩაშვილი
ნოდარ ელიზბარაშვილი
ზურაბ დავითაშვილი

საქართველოს გეოგრაფია

IX კლასი

მოსწავლის წიგნი



საქართველოს გეოგრაფია IX კლასი

ნიკოლოზ ბერუჩაშვილი
ზურაბ დავითაშვილი
ნოდარ ელიზბარაშვილი

რედაქტორები: **იამზე ეცეცაძე**
პედაგოგიკის დოქტორი
დარეჯან ფალავა
პედაგოგი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **ნუგზარ არჩემაშვილი**

© გამომცემლობა „კლიო“ 2012
© გამომცემლობა „მერიდიანი“ 2012
© ნ. ბერუჩაშვილი, ზ. დავითაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, 2012

ყველა უფლება დაცულია

Nikoloz Beruchashvili

Zurab Davitashvili

Nodar Elizbarashvili

GEOGRAPHY OF GEORGIA

9th Grade Textbook



გამომცემლობა „კლიო“

აღმაშენებლის გამზირი 181, თბილისი, 0112, საქართველო

ტელ.: (+995 32) 234 04 30

E-mail: book@klio.ge

www.klio.ge



გამომცემლობა „მერიდიანი“

აღ. ყაზბეგის გამზ. 47, თბილისი, 0112, საქართველო

ტელ.: (+995 32) 239 15 22

ISBN 978-9941-415-95-1

შინაარსი

I ნაწილი. გეოგრაფიული მდებარეობა ტერიტორია და საზღვრები

1.1. გეოგრაფიული მდებარეობა	5
1.2. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები	10
1.3. საქართველოს ტერიტორიული ცვლილებების ისტორია	14

II ნაწილი. ბუნებრივი პირობები და რესურსები

2.1. გეოლოგიური აგებულება და სასარგებლო წიაღისეული	20
2.2. რელიეფი	25
2.3. ჰავა: მზის რადიაცია, ატმოსფეროს ცირკულაცია	32
2.4. ჰავის ძირითადი მახასიათებლები	38
2.5. ჰავა: ატმოსფერული ნალექები. ჰავის ტიპები	42
2.6. შავი ზღვა	45
2.7. შიგა წყლები: მდინარეები	48
2.8. შიგა წყლები: ტბები, წყალსაცავები, ჭაობები, მყინვარები. წყლის რესურსები	51
2.9. ფლორა: მცენარეულობის გავრცელების ძირითადი კანონზომიერებანი. წიწვოვანი ტყეები	57
2.10. ფლორა: ფოთლოვანი და შერეული ტყეები	61
2.11. ფლორა: ბუჩქნარები, მდელოები სტეპები	64
2.12. ცხოველთა სამყარო	68
2.13. ნიადაგები	70
2.14. ბუნებრივი რესურსები	74

III ნაწილი. საქართველოს ლანდშაფტები

3.1. ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი და ლანდშაფტი	78
3.2. ბარის ლანდშაფტები. კოლხეთის ბარის ტყის ლანდშაფტები	80
3.3. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ლანდშაფტები	84
3.4. დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მთის ლანდშაფტები	89
3.5. აღმოსავლეთ საქართველოს ქვედა და საშუალო მთის ლანდშაფტები	92
3.6. მაღალი მთის ლანდშაფტები	94

IV ნაწილი. საქართველოს გეოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემები

4.1. კატასტროფული და სტიქიური მოვლენები: მიწისძვრები და ზვავები ..	97
4.2. მფყვარი. ღვარცოფი. ეროზია. ქვითაცვენა	102
4.3. ტყე და მისი მინერვალურობა	107
4.4. კლიმატი და სოფლის მეურნეობა ..	112

4.5. საქართველოს ეკოლოგიური პრობლემები	117
4.6. საქართველოს დაცული ტერიტორიები. საქართველოს „წითელი წიგნი“	120

V ნაწილი. მოსახლეობის გეოგრაფია

5.1. მოსახლეობის რაოდენობა, ტერიტორიული განლაგება და დინამიკა	125
5.2. დემოგრაფიული მდგომარეობა და მიგრაცია	129
5.3. მოსახლეობის სოციალური უმადგენლობა და დასაქმება	134
5.4. ქალაქების და სოფლების გეოგრაფია. ურბანიზაცია	137
5.5. ეთნიკური გეოგრაფია: ქართველები	144
5.6. ეთნიკური გეოგრაფია: ეროვნული უმცირესობები. რელიგიების გეოგრაფია	149

VI ნაწილი. ეკონომიკური გეოგრაფია

6.1. საქართველოს ეკონომიკა – წარსულის მემკვიდრეობა	156
6.2. სატობო-მწებრეპროდუქციული მრეწველობა	161
6.3. დაგეგმვებითი მრეწველობა	165
6.4. სოფლის მეურნეობა	170
6.5. ტრანსპორტი და კომუნიკაციები ..	176
6.6. ვაჭრობისა და მომსახურების გეოგრაფია	180
6.7. კურორტები და ტურიზმი	183
6.8. საბარეო კაფიერები	188

VII ნაწილი. სოციალური და კულტურული გეოგრაფია


7.1. ცხოვრების დონის გეოგრაფია	191
7.2. განათლების, მცენიერებისა და კულტურის გეოგრაფია	195
7.3. სამედიცინო გეოგრაფია და ჯანმრთელობის დაცვა	200
7.4. მატერიალური კულტურისა და ტრადიციების გეოგრაფია	204

VIII ნაწილი. საქართველოს რეგიონები

8.1. რეგიონული დაცოფა: ისტორია და თანამედროვეობა	209
8.2. თბილისი	213
8.3. კახეთი	217
8.4. ქვემო ქართლი	222
8.5. შიდა ქართლი	226
8.6. მცხეთა-მთიანეთი	230
8.7. სამცხე-ჯავახეთი	235
8.8. იმერეთი	240
8.9. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი ..	245
8.10. სამეგრელო-ზემო სვანეთი	249
8.11. გურია	253
8.12. აჭარა	256
8.13. აფხაზეთი	261

III ნაწილი. საქართველოს ლანდშაფტები

3.1. ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი და ლანდშაფტი



ნახ. 3.1.1. საქართველოს ლანდშაფტები

1. კოლხეთის ბარის ტყის.
2. კახეთის ბარის ტყის.
3. ივერიის ბარის ველის.
4. ველარის ბარის ნახევარუდაბნოს.
5. კოლხეთის მთის ტყის.
6. კავკასიის საშუალო მთის მუქწიწოვანი ტყის.
7. ამიერკავკასიის დაბალი მთის ტყის.
8. ამიერკავკასიის საშუალო მთის ტყის.
9. ჯავახეთის მთის სტეპის.
10. კავკასიის მაღალი მთის სუბალპური და ალპური.
11. ნივალურ-გლაციალური.

ფიზიკური გეოგრაფიის ზოგად და რეგიონულ კურსში შეისწავლეთ როგორც გეოგრაფიული კომპონენტების, გეოგრაფიული გარსის შემადგენელი ნაწილების (ლითოსფეროს, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, ბიოსფეროს) კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება, ისე ზოგადი გეოგრაფიული კანონზომიერებები (მთლიანობა, რიტმულობა, ზონურობა). ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება განაპირობებს დედამიწის ბუნებრივ იერსახეს, გარემოში მიმდინარე პროცესთა ხასიათს, ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ფორმებსა და სხვ. გეოგრაფიულ კომპონენტთა ურთიერთდამოკიდებულება ვლინდება როგორც გლობალურ (ბუნებრივი ზონების განედური განლაგება, კონტინენტების ბუნებრივი პირობები), ისე რეგიონულ (ვერტიკალური ზონურობა, ლანდშაფტები) დონეზე.


ნებისმიერი დონის ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი შედგება ურთიერთდაკავშირებული ბუნების (გეოგრაფიული) კომპონენტებისაგან. გეოგრაფიული კომპონენტებისთვის დამახასიათებელია გარკვეული აგრეგატული მდგომარეობა (მყარი, თხევადი, აირადი), მასა და სიცოცხლის არსებობა-არარსებობა. გეოგრაფიული კომპონენტები ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებში წარმოდგენილია ლითოგენური საფუძვლის (რელიეფი თავისი გეოლოგიური აგებულებით), ჰაერის და წყლის მასების (მდინარეები, ტბები, ჭაობები და სხვ.), ბიოგენური კომპონენტის (მცენარეულობა და ცხოველები) სახით.

აღნიშნული კომპონენტების ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება ბუნების მეორეუ-


ლი კომპონენტები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ნიადაგი (ძირითადად წარმოქმნილია ბიოგენური კომპონენტისა და ლითოგენური საფუძვლის ურთიერთკავშირის შედეგად).

ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი (ბტკ) შეიძლება იყოს როგორც მცირე ზომისა (მაგალითად, კარსტული ძაბრი), ისე ძალიან დიდი ფართობის მქონე (მაგალითად, აფრიკის კონტინენტი). მცირე ბტკ-ები შეიძლება გაერთიანდეს უფრო მსხვილ ერთეულებად. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ლანდშაფტი (გერმ. მიწის სახე, პეიზაჟი, ადგილი). ლანდშაფტი გენეტიკურად ერთგვაროვანი ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსია, რომელსაც ახასიათებს ერთიანი ლითოგენური საფუძველი, ერთგვაროვანი ჰავა და ნიადაგურ-მცენარეული საფარი.

ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსში ცალკეულ კომპონენტს სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ლითოგენური საფუძვლის შეცვლა დიდ გავლენას ახდენს ყველა სხვა გეოგრაფიულ კომპონენტზე მაშინ, როცა მცენარეული საფარის შეცვლა შედარებით უმნიშვნელო ცვლილებებს იწვევს.



ნახ. 3.1.2. ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსის შემადგენელი კომპონენტები და მათი ურთიერთკავშირები



ნახ. 3.1.3. ლანდშაფტების ვერტიკალური ზონალობა:
1. გლაციალურ-ნივალური. 2. მაღალი მთის სუბალპური და ალპური მდელოს. 3. საშუალო მთის ტყის ლანდშაფტები

მნიშვნელობის მიხედვით ბუნების კომპონენტები ლაგდება შემდეგი თანამიმდევრობით: ლითოგენური საფუძველი, ჰაერის მასები, წყლის მასები, ბიოგენური კომპონენტი.

საქართველოს ლანდშაფტური მრავალფეროვნება

საქართველოში, როგორც ყველა მთიან ქვეყანაში, კარგადაა გამოხატული ლანდშაფტთა ვერტიკალური ზონურობა ანუ მათი სიმაღლებრივი ცვლილება. მას განაპირობებს გეოგრაფიული კომპონენტების (რელიეფის, ჰაერის, წყლების, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ნიადაგის) ურთიერთდამოკიდებულების სიმაღლებრივი ცვალებადობა. საქართველოში ლანდშაფტთა ზონურობის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორი გეოგრაფიული მდებარეობა (შავი ზღვიდან დაშორება), ადგილის აბსოლუტური სიმაღლე და ძირითადი ოროგრაფიული ბარიერების (კავკასიონი, მცირე კავკასიონი, ლიხის ქედი) განაწილებაა. საქართველოში წარმოდგენილია 11 ტიპის

(4 ბარის, 7 მთის) ლანდშაფტი. მათგან ორი მხოლოდ დასავლეთ, ხუთი მხოლოდ აღმოსავლეთ, ერთი მხოლოდ სამხრეთ და სამი მთელ საქართველოში გვხვდება.

ლანდშაფტთა ტიპი განაპირობებს ადამიანის სამეურნეო საქმიანობის მასშტაბებსა და ფორმებს (ურბანული, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სატყეო და სხვ.). ადამიანი აქტიური სამეურნეო საქმიანობით განსაკუთრებით ბარის (ვაკის) ლანდშაფტებში გამოიჩენება. ისინი პრაქტიკულად ათვისებული და გარდაქმნილია, საქართველოში ბუნებრივი ლანდშაფტები მნიშვნელოვნადაა სახეშეცვლილი ვაკე-დაბლობებზე, გორაკ-ბორცვიან ნაწილში და მთის ქვაბულებში. სიმაღლის მატებასთან ერთად ადამიანის (ანთროპოგენული) გავლენა მცირდება, რის გამოც მთებში სახეშეცვლილი ლანდშაფტები მცირე ზომის და ლოკალური ხასიათისაა.

კითხვები

1. რა განსხვავება და მსგავსებაა ბუნებრივ ზონასა და ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსს შორის?
2. რას ეწოდება ლანდშაფტი?
3. როგორი თანმიმდევრებით ლაგდება ბტკ-ს შემადგენელი კომპონენტები მნიშვნელობის მიხედვით?
4. რა განაპირობებს საქართველოში ლანდშაფტების ცვლას?
5. რასთანაა დაკავშირებული ადამიანის სამეურნეო საქმიანობის მასშტაბები და ფორმები?

დავალება

განსაზღვრეთ ბათუმი-თბილისი-გურჯაანის გაწვდნა და ახალციხე-ქუთაისი-მესტიის მერიდიანზე წარმოდგენილი ლანდშაფტები. დაუკავშირეთ ისინი რელიეფის ფორმებს.

პერსონალია

პროფესორი ნიკო ბერუჩაშვილი (1947-2006) – გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, ლანდშაფტმცოდნე, საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ლანდშაფტური ანალიზის კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ქართველ გეოგრაფთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე. მისი თაოსნობით საქართველოში დაინერგა და განვითარდა არაერთი სამეცნიერო-გეოგრაფიული მიმართულება. იგი 1972 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სტაციონარს, 1979 წლიდან ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აეროკოსმოსური მეთოდებით ბუნებრივი გარემოს მდგომარეობათა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიას, 1982 წლიდან – კარტოგრაფია-გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის კათედრას. პროფ. ნიკო ბერუჩაშვილი ავტორია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთა შორის 30-მდე რამდენიმე ენაზე გამოცემული სახელმძღვანელო (მათ შორის 3 სასკოლო) და მონოგრაფიაა.



ღირსშესანიშნაობები

ბიჭვინთა – საუკეთესო კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე. ბიჭვინთის კონცხზე ცნობილი რელიქტური ფიჭვის კორომა (ბიჭვინთის ნაკრძალი). პირველად, ჯერ კიდევ 2 ათასი წლის წინ, მოხსენიებულია ძველ ბერძენი გეოგრაფის – სტრაბონის გეოგრაფიაში, როგორც „ღიდი პიტიუნტი“. **როგორც ბერძნების მხრივ, ისე ქართველებისაგან ადგილის სახელწოდება „ფიჭვი“-დან** მომდინარეობს. ბიჭვინთა ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი და ძლიერი კერა იყო. IV საუკუნეში აქ საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა. ბიჭვინთის ცენტრში, ძველი ნაქალაქარიდან 300 მ-ში, ჯვარ-გუმბათოვანი დიდი ტაძარი დგას, რომელიც X-XI ს-შია აშენებული. კურორტი ბიჭვინთა ხელსაყრელი მდებარეობითა და კომფორტული ჰავით (ნალექები-1500 მმ) გამოირჩევა.

ლიხნი – სოფელი გუდაუთის რაიონში. სოფლის შუაში აღმართულია X-XI საუკუნეებში. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. ტაძრის მახლობლად არის აფხაზეთის მთავართა (შერვაშიძეების) ორსართულიანი სასახლის ნანგრევები (დაინგრა 1866 წ.). სოფლის განაპირას აღმართულია გალავნით შემოზღუდული ციხესიმაგრის კომპლექსი (აბაანთა, VII-VIII ს.).

ახალი ათონის მონასტერი. მონასტერი ძველი ანაკოფიის ადგილას დაარსდა, როგორც ათონის (საბერძნეთი) რუსული მონასტრის ფილიალი. მონასტრის პირველი რიგის მშენებლობა 1876 წელს დასრულდა. იგი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში შავიზღვისპირეთის უდიდეს საეკლესიო ცენტრად გადაიქცა.

ახალი ათონის გამოქვაბული – მდებარეობს კურორტ ახალი ათონის მახლობლად. მღვიმე გამოქვაბულია ცარცულ კირქვებში. მილიანი სიგრძე 3285 მ. მოცულობის მიხედვით (1.5 მლნ კუბური მეტრი) მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მღვიმეა. შედგება უზარმაზარი დარბაზებისაგან. მღვიმე კეთილმოწყობილია. მასში გაყვანილი ვიწროლიანდაგის რკინიგზა მრავალრიცხოვან მნახველს ემსახურება.

ბესლეთი – სოფელი სოხუმის რაიონში. ცნობილია ერთმალის თაღოვანი ხიდით მდ. ბესლეთზე. სიგრძე 35 მ, სიგანე 5 მ. ხიდი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების (XI-XII სს.) მნიშვნელოვანი ძეგლია. თაღის ქვებზე ამოკვეთილია ქართული ასომთავრული წარწერა.

ბედიის მონასტერი – ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი ოჩამჩირის რაიონში. თავდაპირველი ნაგებობა X-XI ს-ში აუგიათ, ამჟამინდელი ტაძარი კი XIII-XIV საუკუნეების ძეგლია.



ნახ. 8.13.8. ახალი ათონის მონასტერი



ნახ. 8.13.9. თაღოვანი ხიდი მდ. ბესლეთზე



ნახ. 8.13.10. ბედიის ტაძარი



ნახ. 8.13.11. ლიხნის ციხესიმაგრის ნანგრევები



ნახ. 8.13.12. ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი